



MES 0 23 0000960771



03/08/2023

## სააკელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 20/07/2023

სხდომის დაწყების დრო 15:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო 16:30 სთ

საბჭოს სხდომის თავმჯდომარე - ბორის ლეჟავა

საბჭოს მდივანი - ანა საბახტარიშვილი

სააკელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე პირები

### საბჭოს წევრები:

1. **ბორის ლეჟავა** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი მარკეტინგის მიმართულებით - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
2. **ანა საბახტარიშვილი** - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;
3. **კახაბერ ფარცვანია** - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;
4. **გივი გაგნიძე** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის "ახალი სკოლის მოდელის მხარდამჭერი" პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
5. **არჩილ სუმბაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაციის გამგეობის წევრი, შპს "ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი, საბჭოს წევრი;
6. **გიორგი ტრაპაიძე** - სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;
7. **აკაკი ხელაძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, მენეჯმენტი-ბიზნესის მიმართულებით, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი):

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;  
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი.

### **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

#### **შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი**

1. მარეხი ყანჩაველი - დაწესებულების დირექტორი;
2. სალომე ოსეფაშვილი - დაწესებულების იურისტი;
3. ნოდარ ანგურიძე - დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი.

### **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტი):**

#### **შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი**

1. ხათუნა ბარაბაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
2. ლიანა კობესაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის წევრი.

### **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - ავტორიზაციის საბჭო) წევრები:**

1. დავით მალაზონია - ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე;
2. თამარ მამსიკაშვილი - ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ზვიად გოგუაძე - ავტორიზაციის საბჭოს წევრი;
4. ეკატერინე კვირიკაშვილი - ავტორიზაციის საბჭოს წევრი.

სააპელაციო საბჭოს სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.

სააპელაციო საბჭოს სხდომა იმართებოდა დისტანციურად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, Zoom-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით. დებულების 99-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბორის ლეჟავამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების 99-ე მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

## **სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

### **შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:**

არა.

## **დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. შპს შოთა რუსთაველის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის განხილვა

### **1. შპს შოთა რუსთაველის სკოლა-ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის განხილვის საკითხი**

სხდომის თავმჯდომარემ, ბორის ლეჟავამ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმსა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.

დაწესებულების დირექტორმა, მარეხი ყანჩაველმა განაცხადა, რომ შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი 2007 წლიდან ფუნქციონირებდა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება 2020 წლამდე. დირექტორის თქმით, 2020 წელს სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაუუქმდა ავტორიზაცია დაწესებულებაში განხორციელებული ავტორიზაციის პირობების შემოწმების შედეგად, ხოლო 2022 წლის დეკემბერში დაწესებულებამ კვლავ მიმართა ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით დაწყებით საფეხურზე ავტორიზაციის მოპოვების მიზნით. მისი განმარტებით, სკოლის მთავარი მისია იყო აღეზარდათ კეთილსინდისიერი, განათლებული, საზოგადოებაში ადაპტირებული და საკუთარ მიზნებზე ორიენტირებული ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგ წვლილს შეიტანდნენ ქვეყნის განვითარების პროცესში. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ როდესაც სკოლა ფუნქციონირებდა მოსწავლეთა 85% წარმოდგენდა ეთნიკურ უმცირესობას. დირექტორის თქმით, სკოლა უწევდა ქართულ ენას პოპულარიზაციას და ჩართული იყო სოციალურ პროექტებში. მარეხი ყანჩაველის განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო კრიტიკული და საბჭოს სხდომაზე განხილული იყო მხოლოდ სკოლაში დაფიქსირებული ხარვეზები და არა სკოლის საუკეთესო პრაქტიკა. აქვე, მან განმარტა, რომ საავტორიზაციო განაცხადი გაკეთებული ჰქონდათ მხოლოდ დაწყებითი საფეხურის განხორციელების მიზნით, რათა 2020 წლიდან დღემდე საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ ცვლილებებთან ეტაპობრივად აეწყო სკოლას ფეხი. დაწესებულების დირექტორმა, მარეხი ყანჩაველმა განაცხადა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა იყო გამართული და კეთილმოწყობილი, აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, სპორტული დარბაზით, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით, კაბინეტური სწავლებისთვის საჭირო ოთახებით გამართული. მისი განმარტებით, ავტორიზაციის საბჭომ არ მიიღო მხედველობაში დაწესებულებაში ვიზიტის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები. კერძოდ, დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში

ექსპერტთა ვიზიტის შედეგად დაფიქსირებულ სტანდარტებთან შეუსაბამობებზე მუშაობა სკოლამ დაიწყო მყისიერად და მათი შესრულების შედეგები არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ცენტრში.

სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ სტანდარტებთან შეუსაბამობებზე და სკოლის მიერ განხორციელებულ მათი აღმოფხვრის გზებზე, რაზე დაყრდნობითაც სკოლა სააპელაციო საჩივრით მოითხოვდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და საკითხის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას. სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის სტანდარტის 2.6.1 ქვესტანდარტი ითხოვდა ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის მექანიზმების და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის არსებობას და აღნიშნული ქვესტანდარტი ექსპერტთა მიერ ხარვეზად იყო მიჩნეული იმის გამო, რომ სკოლაში არ იყო კვამლსაწინააღმდეგო მექანიზმი. სკოლის იურისტის განცხადებით, აღნიშნული ქვესტანდარტის დახარვეზების მიზეზი არ უნდა ყოფილიყო კვამლსაწინააღმდეგო მექანიზმის არარსებობა, რადგან სკოლას ჰქონდა ცეცხლმაქრები. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლის მხოლოდ პირველ სართულზე იყო კვამლსაწინააღმდეგო მექანიზმი დამონტაჟებული და არ იყო მეორე და მესამე სართულებზე. სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა კვამლსაწინააღმდეგო მექანიზმის შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტიც. სკოლის იურისტმა, ასევე ისაუბრა 2.6.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებულ შეუსაბამობაზე და განმარტა, რომ სკოლამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან 2022 წლის 12 დეკემბერს გააგზავნა შესათანხმებლად უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომლისგანაც უკუკავშირი აღნიშნულ წესში ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული ჰქონდათ 2023 წლის 28 თებერვალს და სკოლამ 9 მარტს დაკორექტირებული წესი კვლავ გააგზავნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად. სკოლის იურისტის განცხადებით, აღნიშნული არ უნდა შეფასებული სტანდარტის დარღვევად, რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებობდა შესაბამისი კორესპონდენცია. სალომე ოსეფაშვილმა, სააპელაციო საბჭოს წინაშე წარმოადგინა ფოტო-მასალა იმ ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც დახარვეზდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ეზოში მანქანებისა და სათამაშო მოედანს შორის ღობის არარსებობის გამო. მან აღნიშნა, რომ სკოლაში მოსწავლეების არსებობის შემთხვევაში ეზოში არ მოხდებოდა მანქანების გადაადგილება. სკოლის იურისტის, სალომე ოსეფაშვილის თქმით, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე ხარვეზად მიიჩნია, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ არ იყო იდენტიფიცირებული და შეფასებული საფრთხეები, რომელიც დაკავშირებული იყო სპორტულ დარბაზში არსებულ გარემოებებთან. კერძოდ, ანტისანიტარია, მძიმე სუნი, წესების დარღვევით შენახული საწმენდი საშუალებები, კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორების არარსებობა და სხვა. სკოლის იურისტის თქმით, ექსპერტმა ადგილზე ვიზიტის დროს მოითხოვა სპორტული დარბაზის დამხმარე ოთახში არსებული სუნის ექსპერტიზის ჩატარება. სალომე ოსეფაშვილის განცხადებით, საქართველოში არ არსებობდა მსგავსი სახის ორგანიზაცია, რომელიც აღნიშნულ ექსპერტიზას ჩატარებდა. აქვე, მან დაამატა, რომ სუნის აღქმა რეცეპტორულ უნართან იყო დაკავშირებული და ვერ მოხდებოდა მისი კონტროლი. მისი თქმით, 2020 წლის შემდეგ შენობა იყო დაკეტილი და აღნიშნულმა გამოიწვია დაფიქსირებული ხარვეზის არსებობა. გარდა ამისა, სალომე ოსეფაშვილის განმარტებით, ვიზიტის შემდგომ აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა და სპორტული დარბაზის დამხმარე ოთახი გათავისუფლდა საფრთხის შემცველი ნივთიერებებისგან. სკოლის იურისტის თქმით, მსგავსი ტიპის ხარვეზები არ უნდა გამხდარიყო საბჭოს მხრიდან ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი. სკოლის იურისტმა, ასევე ისაუბრა სკოლაში დამონტაჟებულ ვიდეო-კამერებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს ჯამში იყო 31 კამერა დამონტაჟებული, 16 შიდა და 15 გარე, თუმცა

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და დამატებით შეიძინა 10 ვიდეო-კამერა და მათი შემენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის დროს ცენტრში.

სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სააპელაციო საბჭოს წინაშე განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხვა სკოლების შემთხვევაში, მსგავსი ხარვეზების დაფიქსირების დროს, არ მიუღია უარყოფითი გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიდგომა არაერთგვაროვანი იყო. მისი თქმით, სკოლის ეზოს გამიჯვნისა და სუნის საკითხებზე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ არცერთ ოქმში არ ყოფილა საუბარი, არც დადებით და არც უარყოფით კონტექსტში. რაც შეეხებოდა ვიდეო-კამერების საკითხს, სალომე ოსეფაშვილმა სააპელაციო საბჭოს წინაშე წარმოადგინა კონკრეტული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელთაც ვიზიტის პერიოდში არასაკმარისი ვიდეო-კამერა ჰქონდათ, თუმცა აღნიშნული არ გამხდარა ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან ავტორიზაციის გაუქმების ან ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა ისაუბრა 3.2 ქვესტანდარტზე, რომლის მიხედვითაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევად მიჩნეული იყო მასწავლებელთა მიღების წესი, რადგან სტატუსის მაძიებელი სკოლის მიერ არ მომხადარა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გავლით მართვის საინფორმაციო სისტემასთან დაკავშირება, მაშინ, როდესაც მასწავლებელთა ვაკანსიების გამოცხადების ვებ-გვერდი განკუთვნილი იყო მხოლოდ ავტორიზებული დაწესებულებებისთვის. სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ არ არსებობდა არანაირი ნორმატიული აქტი, რომლითაც აღნიშნული საკითხი იქნებოდა დარეგულირებული. მისი თქმით 2020 წელს, როდესაც სკოლას გაუუქმდა ავტორიზაცია, სკოლამ კანონმდებლობის შესაბამისად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და რესურსცენტრს გადასცა ყველა მოსწავლის პირადი საქმე და განხორციელდა მოსწავლეების მობილობა, თუმცა სკოლას მათთვის განკუთვნილი გვერდი მართვის საინფორმაციო სისტემაში კვლავ შეუნარჩუნდა. შესაბამისად, სკოლას კვლავ ჰქონდა წვდომა [pedagogi.ge](http://pedagogi.ge) - ზე და მარტივად შეეძლო მასწავლებელთა ვაკანსიების გამოცხადება. სკოლის იურისტის განმარტებით, მათ მიმართეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს კითხვით, თუ როგორ უნდა მოეხდინა რეგისტრაცია ავტორიზაციის სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას აღნიშნულ ვებ-გვერდზე და ვის უნდა წარმოედგინა დაწესებულების გაუქმების შესახებ ინფორმაცია. სკოლის იურისტის თქმით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან მიღებული იყო პასუხი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ვებ-გვერდზე მასწავლებელთა ვაკანსიის გამოცხადების უფლება ჰქონდა მხოლოდ ავტორიზებულ რეჟიმში მყოფ დაწესებულებას. სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ იმავე პერიოდში, ქ. რუსთავეში, როდესაც მიმდინარეობდა შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმში საავტორიზაციო ვიზიტი, ასევე, მიმდინარეობდა სხვა სტატუსის მაძიებელ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი, რომლის შემთხვევაშიც ექსპერტთა ჯგუფს არ მოუკვლევიან, თუ როგორ ჰქონდა სკოლას მოპოვებული ნებართვა [pedagogi.ge](http://pedagogi.ge) - ზე მასწავლებელთა ვაკანსიების განთავსებისთვის. სკოლის იურისტმა დაამატა, რომ აღნიშნული განპირობებული იყო ერთ-ერთი ექსპერტის პროფესიული უფლებამოსილებით, რომელიც თავად მუშაობდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში.

სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა მიმართა სააპელაციო საბჭოს წევრებს, იმ შემთხვევაში, თუ საბჭო განსახილველად დაუბრუნებდა საკითხს ავტორიზაციის საბჭოს, განმარტებაც გაეკეთებინათ, თუ რას ნიშნავდა საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნება. აღნიშნულ შემთხვევაში ავტორიზაციის საბჭოს მოუწევდა ხელახლა საკითხის შესახებ მსჯელობა და არ უნდა დაყრდნობოდა მხოლოდ ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნას. მისი თქმით, მნიშვნელოვანი იყო საბჭოს მხრიდან გათვალისწინებული ყოფილიყო დაწესებულების მცდელობა კვლავ შესულიყო ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და აღეზარდა ღირსეული და

წარმატებული მოქალაქეები და უმნიშვნელო ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც სკოლამ ვიზიტის შემდგომ მოახერხა, არ გამხდარიყო ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველი. სკოლის იურისტის, სალომე ოსეფაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრების მიერ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენდა მათ დისკრეციულ უფლებას, საბჭოს წევრებმა არ წარმოადგინეს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება და არ ჩანდა კერძო და საჯარო ინტერესების გათვალისწინება. მისი თქმით, ავტორიზაციის ვიზიტი და საბჭოს სხდომა სკოლისთვის უნდა ყოფილიყო განვითარებაზე ორიენტირებული და არა სადამსჯელო ქმედება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმსა და ექსპერტთა დასკვნაში სპორტულ დარბაზში არსებული სუნის გარდა დაფიქსირებული იყო ანტისანიტარიისა და ქიმიური ნივთიერებების არასწორად შენახვის ფაქტები. ასევე, მისი თქმით, როდესაც სკოლა ემზადებოდა ავტორიზაციის ვიზიტისთვის, მნიშვნელოვანი იყო, რომ არსებული ყველა ხარვეზი ჰქონოდა აღმოფხვრილი. შესაბამისად, მისი აზრით სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია არ იყო საკმარისი. საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ განაცხადა, რომ მისასაღმებელი იყო დაწესებულების ისტორია და გამოცდილება, თუმცა ასევე მნიშვნელოვანი იყო სკოლას ჰქონოდა მზაობა ფეხი აეწყო და დაენერგა სიახლეები. გარდა ამისა, მოცემული მომენტისთვის, როდესაც შეცვლილი იყო ავტორიზაციის სტანდარტები, სკოლას მრავალი მიმართულებით მოუწევდა მუშაობა. გარდა ამისა, არჩილ სუმბაძემ ყურადღება გაამახვილა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებზე და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მარტის თვის შემდეგ თუ იყო რაიმე სახის კომუნიკაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ასევე, არჩილ სუმბაძემ მიმართა სკოლას, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ვიდეო-კამერებთან დაკავშირებული საკითხი, თუმცა მის უკან უამრავი ხარვეზი იყო დაფიქსირებული ექსპერტთა დასკვნასა და ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში, რომლებზეც ავტორიზაციის საბჭო თვალს ვერ დახუჭავდა. აქვე, საბჭოს წევრმა ხაზი გაუსვა ავტორიზაციის საბჭოსა და სააპელაციო საბჭოს შორის არსებულ განსხვავებაზე და აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭო ვერ იმსჯელებდა დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხზე, რასაც ეხებოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია.

სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ არცერთ საბჭოს სხდომის ოქმსა და ექსპერტთა დასკვნაში არ ფიქსირდებოდა სკოლის ეზოში სათამაშო მოედნისა და მანქანის სავალი ნაწილის გამიჯვნის საკითხი როგორც ხარვეზი. საბჭოს წევრმა, არჩილ სუმბაძემ განაცხადა, რომ მსგავსი პრაქტიკა ვერ მოიძებნებოდა, რადგან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვერ იფუნქციონირებდა მანქანის სავალი ნაწილის გამიჯვნის გარეშე. სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა უპასუხა, რომ თავად თანამშრომლობდა ათეულობით კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან, სადაც აღინიშნებოდა მსგავსი ხარვეზი. საბჭოს მდივანმა, ანა საბახტარიშვილმა მიმართა სკოლის იურისტს, რომ თუ იგი ფლობდა მსგავსი სახის ინფორმაციას, რაც საფრთხის შემცველი იყო მოსწავლეთათვის, მას როგორც მოქალაქეს ჰქონდა პასუხისმგებლობა აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა ცენტრისთვის, რათა მომხდარიყო საკითხის შესწავლა დაწესებულებებში მონიტორინგის გზით. აქვე, საბჭოს წევრმა დაამატა, რომ აღნიშნული ვერ აყენებდა სკოლას უპირატეს მდგომარეობაში.

სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა ისაუბრა სპორტულ დარბაზში დაფიქსირებულ მძიმე სუნთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ქიმიური წმენდის ნივთიერებები ინახებოდა სპორტული დარბაზის დამხმარე ოთახში, სადაც ასევე იყო კალათბურთის ფარის გირი, რომელიც იყო კოროზირებული და შენობიდან გასატანად გამზადებული. სკოლის იურისტმა, ასევე, პასუხი გასცა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და

პირობებთან დაკავშირებულ შეკითხვას და განმარტა, რომ მარტის შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან სკოლას არ მიუღია არანაირი კორესპონდენცია, თუმცა სკოლის მხრიდან სატელეფონო საუბრით მოხდა ცხელ ხაზთან დაკავშირება, რომლის მიხედვითაც აღნიშნული დოკუმენტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან კვლავ შესწავლის და შეთანხმების საგანი იყო.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ფარცვანიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას გარდა იმისა, რომ მასწავლებელთა ვაკანსიები გამოცხადებული ჰქონდა pedagogi.ge - ს მეშვეობით, რაც არავტორიზებული სკოლებისთვის არ იყო განკუთვნილი, სკოლას დასაქმებული ჰყავდა რამდენიმე მამიებელი სტატუსის მქონე პედაგოგი. საბჭოს წევრის განმარტებით, სკოლას აღნიშნულის უფლებაც არ უნდა ჰქონოდა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მამიებელ მასწავლებელს დასაქმებიდან ეძლეოდა ერთი ან ორი წელი სტატუსის ასამაღლებლად. შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე ირღვეოდა მასწავლებლების უფლებები. საბჭოს წევრმა, კახაბერ ფარცვანიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ქართული ენის საათების შემცირებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, სკოლას მისიითა და ხედვით განსაზღვრული ჰქონდა ქართული ენის პოპულარიზაცია, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმით შემცირებული ჰქონდა ქართული ენის საათობრივი დატვირთვა. აქვე, მან დაამატა, რომ აღნიშნულის შესახებ მსჯელობა ასახული იყო ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში და სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საათობრივი ბადის შეთანხმების წერილი. საბჭოს წევრის განცხადებით აღნიშნული არ იყო თანხვედრაში სკოლის მისიასთან და მიზნებთან. გარდა ამისა, საბჭოს წევრი, კახაბერ ფარცვანია დაინტერესდა, თუ როგორ შეძლებდნენ ის მასწავლებლები საკუთარი ვალდებულებებისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებას 09:00 საათიდან 16:00 საათამდე, რომლებიც ამავდროულად დასაქმებულები იყვნენ სხვა სკოლაში, რომელიც მდებარეობდა ქ. თბილისში. აქვე, კახაბერ ფარცვანია დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას განსაზღვრული დამატებით რაიმე სახის ინგლისური ენის პროგრამის შეთავაზება მოსწავლეებისთვის, რადგან ცვლილება შეინიშნებოდა ინგლისური ენის საათობრივ ბადესთან დაკავშირებითაც.

სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა განაცხადა, რომ სკოლამ მასწავლებელთა ვაკანსიების გამოცხადებისთვის pedagogi.ge - ზე სცადა შესვლა და თავისუფლად მიეცა წვდომა რეგისტრაციისთვის. შესაბამისად, მათი მხრიდან არ გამხდარა დამატებითი შეკითხვების გაჩენის საფუძველი. აქვე, სკოლის იურისტმა განმარტა, რომ მასწავლებელთა სტატუსის დადასტურებაც ხდებოდა შესაბამისი უწყების მხრიდან და აღნიშულთან დაკავშირებითაც სკოლას არ გასჩენია დამატებითი კითხვები. სალომე ოსეფაშვილმა პასუხი გასცა მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებულ შეკითხვას და განმარტა, რომ აღნიშნული მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა იქნებოდა იმგვარად გადანაწილებული, რომ მათ არ მოუწევდათ 09:00 საათიდან 16:00 საათამდე სკოლაში ყოფნა, ამავდროულად, მათი ნაწილი ცხოვრობდა ქ. რუსთავში. ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, სკოლა საჭიროებიდან გამომდინარე თავიდან გამოაცხადებდა ვაკანსიებს მასწავლებლების აყვანასთან დაკავშირებით. საათობრივ დატვირთვასთან დაკავშირებით, სკოლის იურისტმა განმარტა, რომ სკოლას საათობრივი ბადე შეთანხმებული ჰქონდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. უცხოურ ენასთან დაკავშირებით კი დაამატა, რომ ინგლისური ენის საათების კლება კონკრეტულ კლასებში ფიქსირდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ამ კონკრეტულ კლასში შემოდიოდა სხვა უცხოური ენა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ხათუნა ბარაბაძემ მიმართა სააპელაციო საბჭოს და ითხოვა კომენტარის გაკეთება განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. მან წარმოადგინა ფოტო მასალა, რომლითაც იკვეთებოდა დაწესებულების ეზოში ვიზიტის პერიოდში დაფიქსირებული ფაქტები. კერძოდ, მისი თქმით, სკოლის ეზოში ქვაფენილზე დამონტაჟებული იყო ფეხბურთის კარები, ხოლო აღნიშნული არ იყო გამიჯნული მანქანების სავალი ნაწილისგან. აქვე, მან განმარტა, რომ სკოლამ წარმოადგინა პოზიცია, სადაც



აფიქსირებდა, რომ სპორტულ მოედნად სკოლა გამოიყენებდა შენობის გვერდით არსებულ ბაღს, რომელიც იყო ბუნებრივი მწვანე საფარით დაფარული და წარმოადგენდა სკოლის საკუთრებას. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებულ იქნა ცნობად. ხოლო, ის, თუ რამდენად გაიმიჯნა მანქანების სავალი ნაწილისგან სკოლის ეზო, ექსპერტთა გადამოწმების საგანი ვეღარ იქნებოდა, რადგან ექსპერტთა მიერ დასკვნაში აღწერილი იყო ვიზიტის დროს დაფიქსირებული ხარვეზები, რომელზე დაყრდნობითაც შემდეგ იმსჯელა ავტორიზაციის საბჭომ.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ სპორტულ დარბაზში არსებულ ანტისანიტარიასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა შრომის უსაფრთხოების მენეჯერს, რომელიც არ ფლობდა ინფორმაციას სპორტულ დარბაზში არსებულ მდგომარეობასთან და კვამლის დეტექტორების არარსებობასთან დაკავშირებით. დამატებით, ექსპერტმა საბჭოს წინაშე წარმოადგინა ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადაღებული ფოტო-მასალა, რომლითაც დასტურდებოდა სპორტულ დარბაზში არსებული ვითარება. აქვე, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან შეხვედრის შემდეგ, რომელიც სკოლაში დასაქმებული იყო 2022 წლიდან, დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთ აქტივობას წარმოადგენდა სკოლაში ჰაერის შემადგენლობის კონტროლის განხორციელება. ექსპერტის თქმით, სწორედ აღნიშნული იყო შეფასებული ექსპერტთა დასკვნაში ხარვეზად, რადგან სკოლას განხორციელებული არ ჰქონდა გეგმით განსაზღვრული აქტივობები და არანაირ სუნის კონტროლს არ ეხებოდა ექსპერტთა ჯგუფი. აქვე, მან დაამატა, რომ აღნიშნული აქტივობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტი სკოლას არ წარმოუდგენია არც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ სკოლას არ ჰქონდა მასწავლებლის ვაკანსიებისთვის განკუთვნილი ვებ-გვერდით სარგებლობის უფლება და ვაკანსიები უნდა გამოეცხადებინათ სხვა ვებ-გვერდის საშუალებით, ხოლო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მაძიებელი მასწავლებლების სტატუსის დადასტურება მოხდა სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ ვაკანსიები გამოცხადებული იყო [pedagogi.ge](http://pedagogi.ge) - ზე. დამატებით, ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის საფუძველზე დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც დაადასტურა დასკვნაში ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ხარვეზები, დაეთანხმა მათ და წარმოადგინა ნაწილი მათგანის გამოსწორების ამსახველი დოკუმენტაცია, თუმცა რადგან ექსპერტთა ჯგუფს გარკვეული ხარვეზების გამოსწორების გადამოწმების საშუალება აღარ ჰქონდა, ვერ მიიღებდნენ მხედველობაში.

სხდომის თავმჯდომარემ, მიმართა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია არსებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ ავტორიზაციის საბჭოს სახელით გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, არგუმენტირებული პოზიციის გაცნობისა და ზეპირი მოსმენის საფუძველზე. ზვიად გოგუაძის განმარტებით, იმისათვის, რომ სააპელაციო საბჭოს ბათილად ეცნო ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება, აუცილებელი იყო, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილიყო კანონმდებლობის შესაბამისად, ან დარღვეულიყო გადაწყვეტილების მომზადების ან გადაწყვეტილების კანონმდებლობით განსაზღვრული გამოცემის წესი. საბჭოს წევრის თქმით, აღნიშნული არსებითად ვერ დაირღვეოდა, რადგან ზემოაღნიშნული საკითხები რეგულირდებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, რომელიც განსაზღვრავდა, თუ რა ითვლებოდა დარღვევად. კერძოდ, თუ კოლეგიალური ორგანო არ აქვეყნებდა ინფორმაციას და სხდომის დღის წესრიგს 7 კალენდარული დღით ადრე, ან იმ ტიპის დარღვევა უნდა მიეჩნია



საბჭოს ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველად, რომელიც რეალურად სკოლაში არ იქნებოდა დაფიქსირებული. ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობოდა ნორმატიულ აქტს, რომლითაც განსაზღვრული იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტი. ზემოაღნიშნული სტანდარტის დარღვევა კი იწვევდა ავტორიზაციაზე უარის თქმის საფუძველს. თუმცა, მიუხედავად თქმულისა, ზვიად გოგუაძემ განაცხადა, რომ სწორედ აღნიშნულისთვის არსებობდა საბჭოს ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც საბჭოს დისკრეციული უფლების ფარგლებში, საბჭოს წევრების ურთიერთშეჯერებით შესაძლებელი იყო შეცვლილიყო ექსპერტთა შეფასება. აქვე, მან დაამატა, რომ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დაფიქსირებული იყო ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში, სადაც საბჭოს არგუმენტაცია იყო წარმოდგენილი. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ საბჭოს სახელით დაადასტურა, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირი საფუძველი არ არსებობდა აღნიშნული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 16:00 საათი  
დასრულების დრო: 16:25 საათი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 მაისის №576384 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7  
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას „შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 22 მაისის №576384 გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს შეფასებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კანონმდებლობის შესაბამისი გადაწყვეტილება და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრისა და ზეპირი მოსმენის შედეგად ვერ იქნა წარმოდგენილი ის გარემოებები, რომელიც მიუთითებდა ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, სააპელაციო საბჭოს სხდომა 16:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
თავმჯდომარე  
ლექავა ბორის



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
საბახტარიშვილი ანა

